ტესტი ისტორიაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-22. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მსჯელობაა მართებული ილუსტრაციაზე გამოსახული არტეფაქტის შესახებ?

ა) ვანში აღმოჩენილი გულსაკიდი ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ოქრომჭედლობა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა;

ბ) დიოსკურიის განძის შემადგენლობაში მოხვედრილი ეგვიპტური სამკაული განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს;

გ) თბილისის სამაროვანზე დაფიქსირებული ოქროს მძივი საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ უთანასწორობაზე მიუთითებს;

დ) თელავის ყორღანში დაკრძალული დიდგვაროვანი ქალის ყელსაბამი ოქროს უწყვეტად მოპოვების ტრადიციის მაჩვენებელია.

(1) 2. რომელი ქვეყანაა ცნობილი „ათასი ღვთაების ქვეყნის“ სახელწოდებით?

ა) სპარსეთი;

ბ) ხეთების;

გ) ელამის;

დ) იუდეა.

(1) 3. რომელი განმარტებაა მართებული ძვ. წ. XII საუკუნის ისტორიულ ცნობაში მოხსენიებული „ნაირის ქვეყნების“ შესახებ?

ა) ეს იყო მცირე აზიაში არსებული აქადის იმპერიის ფინიკიური დასახელება;

ბ) ამ დასახელებაში იგულისხმება ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე მოსაზღვრე ტერიტორიები;

გ) ამ სახელით შუმერულ წყაროებში მოიხსენიება ეგვიპტეში მცხოვრები ტომების მიწები;

დ) ეს სახელი ეწოდებოდა ირანული ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

(1) **4. რომელი ჩამონათვალი ასახავს ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოში დაწესებულ ადმინისტრაციულ იერარქიას?**

ა) სპასპეტი, ერისთავი, სპასალარი;

ბ) ხევისბერი, ერისთავი, ათასისთავი;

გ) სკეპტუხი, ათასისთავი, ერისთავი;

დ) ხევისთავი, ათასისთავი, ციხისთავი.

(1) **5. რა უკავშირდება მარკუს კრასუსის მოღვაწეობას?**

ა) ეგვიპტის დაპყრობა;

ბ) მონათა დიდი აჯანყების ჩახშობა;

გ) გერმანული ტომების დამორჩილება;

დ) ქტესიფონის აღება.

(1) **6. რომელი ინფორმაციაა მართებული III საუკუნის ბოლოს სასანიანთა ირანსა და რომის იმპერიას შორის დადებული ნისიბინის ზავის შესახებ?**

ა) ქართლი რომის გავლენის სფეროდ გამოცხადდა;

ბ) რომმა აღიარა ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმება;

გ) ირანმა და რომმა ქართლში გავლენის სფეროები გაინაწილეს;

დ) ირანმა ქართლში ერისმთავრის ხელისუფლება ცნო.

(1) **7. რომელი ინფორმაციაა მართებული IV საუკუნის 70-იან წლებში გამართული ადრიანოპოლის ბრძოლის შესახებ?**

ა) რომის იმპერიასა და გალების სამეფოს დაპირისპირებაში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა;

ბ) რომის იმპერიასა და ვესტგოთებს შორის შეტაკებაში რომაული არმია სასტიკად დამარცხდა;

გ) აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარმა ვანდალთა სამეფოს დედაქალაქი აიღო;

დ) დასავლეთ რომის იმპერიის სამხედრო ძალებმა ჰუნების ლაშქარი დაამარცხეს.

(1) 8. რომელ ქალაქში გადაიტანა არაბთა სახალიფოს დედაქალაქი მუავიამ?

ა) ალეპოში;

ბ) დამასკოში;

გ) კაიროში;

დ) ტვიროსში.

(1) 9. რომელი ქართველი ავტორი აღწერს არაბთა ბატონობას შემდეგნაირად: „რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქუეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი. ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“?

ა) იაკობ ცურტაველი;

ბ) გიორგი მერჩულე;

გ) იოანე საბანისძე;

დ) ბასილი ზარზმელი.

(1) **10. რა ეწოდება ქართველი სასულიერო მოღვაწის, არსენ საფარელის, ნაშრომს?**

ა) „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“;

ბ) „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“;

გ) „ექუსთა დღეთათვის“;

დ) „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

(1) 11. რა მეტსახელით არის ცნობილი ინგლისის მეფე ჯონი, რომლის დროსაც მიიღეს თავისუფლების დიდი ქარტია?

ა) ზარმაცი;

ბ) შეშლილი;

გ) კეთილი;

დ) უმიწაწყლო.

(1) **12. რა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მოხდა 1492 წელს ესპანეთში, როდესაც კოლუმბმა ევროპელთათვის ახალი სამყარო აღმოაჩინა?**

ა) კასტილიისა და არაგონის სამეფოების დინასტიური გაერთიანება;

ბ) ტორდესილასის ხელშეკრულების გაფორმება;

გ) პირენეიზე უკანასკნელი საამიროს დაცემა;

დ) ნიდერლანდების გამოცხადება სამეფოს კოლონიად.

(1) **13. რომელ ქალაქში დამკვიდრდა და მოღვაწეობდა პროტესტანტული რეფორმაციის გამოჩენილი წარმომადგენელი ჟან კალვინი?**

ა) პრაღაში;

ბ) როტერდამში;

გ) ვიტენბერგში;

დ) ჟენევაში.

(1) **14. რომელი მსჯელობაა მართებული თეიმურაზ I-ის მოღვაწეობის შესახებ?**

ა) თავდაუზოგავად იბრძოდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო სამეფოს გათავისუფლება და ცხოვრება სწორედ ირანელთა ტყვეობაში დაასრულა;

ბ) სეფიანთა აგრესიის შესაკავებლად იძულებული გახდა ოსმალეთის ვასალობა ეღიარებინა და საბოლოოდ სიცოცხლე სულთნის კარზე ლტოლვილმა დაასრულა;

გ) ქართლ-კახეთის სამეფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებდა და საკუთარ მემკვიდრეებს ძლიერი, ერთიანი სამეფო დაუტოვა;

დ) ქართლის შემოერთების შემდეგ დასავლეთ საქართველოც დაიქვემდებარა და ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

(1) **15. რომელი მსჯელობაა მართებული საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის შესახებ?**

ა) სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ამერიკელ რევოლუციონერებს და ხელი შეუწყო აშშ-ის ჩამოყალიბებას;

ბ) დაასრულა რელიგიური ომი კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს შორის და „ნანტის ედიქტი“ გამოსცა;

გ) საფრანგეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გადასაჭრელად ისტორიაში პირველად გენერალური შტატები მოიწვია;

დ) სამეფო კარი ვერსალში გადაიტანა და ფრანგი დიდებულებს იქ ცხოვრებას აიძულებდა, რათა უკეთ ეკონტროლებინა ისინი.

(1) **16. რომელი მსჯელობაა მართებული XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ?**

ა) მარაბდის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ სიმონ I-მა თავი იმერეთს შეაფარა, ხოლო ქართლის ტახტი ბაგრატ-ხანმა დაიკავა;

ბ) ტაშისკარის ბრძოლაში ყიზილბაშებზე მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ლუარსაბ II-მ მესხეთიდან მათი განდევნა მაინც ვერ შეძლო;

გ) ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გიორგი სააკაძე ოსმალეთში გაიხიზნა, სადაც ის რამდენიმე წლის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს;

დ) მარტყოფის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ქართველებმა თბილისის ციხე აიღეს და დაუთ-ხანი ქართლიდან გააძევეს.

(1) **17. რომელი მსჯელობა *<u>არ არის მართებული</u>* სოლომონ I-ის შესახებ?**

ა) ოდიშის მთავართან ერთად მონაწილეობა მიიღო რუხის ბრძოლაში, სადაც აფხაზთა სამთავროსა და ჩრდილოკავკასიელთა ლაშქარი დაამარცხა;

ბ) ქართლ-კახეთის მეფესთან, ოდიშისა და გურიის მთავრებთან ერთად „ივერიელ მეფე-მთავართა ტრაქტატს" მოაწერა ხელი;

გ) ცდილობდა ქვემო გურია ოსმალთაგან გაეთავისუფლებინა, თუმცა ნაჭიშკრევის ბრძოლაში დამარცხდა და დასახულ მიზანს ვერ მიაღწია;

დ) შეიპყრო და დასაჯა ოსმალების მოკავშირე რაჭის ურჩი ერისთავი როსტომი, რაჭის საერისთავო კი გააუქმა.

(1) **18. რომელი მსჯელობაა მართებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ?**

ა) 1762 წელს ერეკლე II-ის მოთხოვნის საფუძველზე ეკატერინე II-მ საქართველოში დამხმარე ჯარი გამოგზავნა;

ბ) 1768 წელს გენერალმა ერმოლოვმა ოდიშის მთავრის, კაცია II-ის, დახმარებით ანაკლიის, რუხისა და ფოთის ციხეებიდან ოსმალები განდევნა;

გ) 1770 წელს ახალციხის ფაშის წინააღმდეგ ლაშქრობისას გენერალმა ტოტლებენმა ქართველები მიატოვა და უკან გაბრუნდა;

დ) 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებულ თურქმანჩაის ზავში ქართველთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ საქართველო ნახსენები არ ყოფილა.

(1) 19. რომელი ისტორიული მოვლენა *არ უკავშირდება* საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდს?

ა) იაკობინელთა დიქტატურა;

ბ) პირველი კონსტიტუციის მიღება;

გ) ომი ვანდეაში;

დ) პირველი საპრეზიდენტო არჩევნები.

(1) 20. რომელ დინასტიას მიემართება ცნობილი გამოთქმა: „მათ ვერაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს“?

ა) ტიუდორებს;

ბ) ბურბონებს;

გ) ჰოჰენშტაუფენებს;

დ) ლანკასტერებს.

(1) 21. რომელი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა ცნობილი პოეტი შანდორ პეტეფი?

ა) პოლონელების;

ბ) რუმინელების;

გ) ბულგარელების;

დ) უნგრელების.

(1) 22. რა იყო რუსეთში დაწყებული სამოქალაქო ომის მთავარი მიზეზი?

ა) იმპერატორის სიკვდილით დასჯა 1917 წლის თებერვალში;

ბ) გენერალ ბრუსილოვის მეთაურობით დაწყებული აჯანყება 1917 წლის ივნისში;

გ) დროებითი მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა 1917 წლის სექტემბერში;

დ) ბოლშევიკების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება 1917 წლის ოქტომბერში.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 23-26.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბაბილონის სამეფოსთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. ხამურაბის მიერ ქალაქ აშურის დამორჩილება
2. ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღება
3. კიროს დიდის მიერ ბაბილონის დაპყრობა

(1) **24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის იმპერიაში განვითარებული მოვლენები.**

1. ჰონორიუსის მიერ რავენის დასავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქად გამოცხადება
2. კონსტანტინე დიდის გამარჯვება მაქსენციუსზე
3. დიოკლეტიანეს ადმინისტრაციული რეფორმა

(1) **25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVI საუკუნის ევროპაში განვითარებული მოვლენები.**

1. იეზუიტების ორდენის დაარსება
2. აუგსბურგის ზავი
3. ვალუების დინასტიის მმართველობის დასასრული საფრანგეთში

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნის საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები მათი დაარსების დროის მიხედვით.

1. „საქართველოს მოამბე“
2. „ცისკარი“
3. „ივერია“

ინსტრუქცია დავალებისათვის № 27.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ოთხი (4) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ოთხივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ
შემდეგ გვერდზე

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
(1) 27.1. რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?	27.1. მეთოთხმეტე საუკუნის
(1) 27.2. რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან გამართული ბრძოლა დასრულდა ევროპელთა გამარჯვებით?	27.2. ვარნასთან ბრძოლა
(1) 27.3. რუკის მიხედვით, რომელი მუსლიმური სახელმწიფო მდებარეობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში?	27.3. მოლდოვა
(2) 27.4. ქართველების მიერ ვისთან გამართული ბრძოლა ჩანს რუკაზე და რომელ წელს მოხდა ეს ბრძოლა?	27.4. ჯეჰან-შაჰთან; 1444 წელს.
(2) 27.5. რუკის მიხედვით, ევროპის რომელი სახელმწიფოებიდან იწყებოდა ლაშქრობები ოსმალთა წინააღმდეგ?	27.5. უნგრეთიდან; სერბეთიდან.
(2) 27.6. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქების აღება სცადეს ოსმალებმა მხოლოდ ზღვიდან, თუმცა უშედეგოდ?	27.6. მონკასტრო; კაფა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 28.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 28.

N1

N2

N3

ილუსტრაციებზე ასახულია ერთ-ერთ სახელმწიფოში XX საუკუნის II ნახევარში განვითარებული მოვლენები.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **28.1.** რომელ სახელმწიფოში შექმნილ ვითარებას ასახავს სიმბოლურად N1 ილუსტრაცია და რა არის ამ ილუსტრაციის მთავარი იდეა?

(2) **28.2.** N2 ილუსტრაციაზე გამოსახული ოთხი პირიდან ერთის მოღვაწეობის წლები არ ემთხვევა იმ სახელმწიფოს არსებობის წლებს, რომელსაც ეს ილუსტრაცია ეხება. დაასახელეთ ეს პიროვნება და ახსენით, რატომაა ის გამოსახული ამ ილუსტრაციაზე?

(2) **28.3.** მმართველობის რომელი ფორმის დასასრულია ასახული N3 ილუსტრაციაზე? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **28.4.** დაასახელეთ იმ გაკვეთილის თემის სათაური, რომელზეც სამივე ილუსტრაციას გამოიყენებთ.

ინსტრუქცია დავალებისათვის №29. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

მიხეილ ვორონცოვი

1844 წლის ბოლოდან მთავარმმართველის თანამდებობა მეფისნაცვლის ინსტიტუტით შეიცვალა. მეფისნაცვალი, მთავარმმართველისაგან განსხვავებით, აღჭურვილი იყო „შეუზღუდავი უფლებამოსილებით“ და მხარის მმართველობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი შეეძლო დამოუკიდებლად გადაეწყვიტა. „ყველა ეს საქმე - ნათქვამია იმპერატორის რესკრიპტში ამ ტიტულის პირველი მატარებლის მიხეილ ვორონცოვისადმი - რომელიც, ამჟამად არსებული წესების მიხედვით, ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მიერ წარედგინებოდა გადასაჭრელად სამინისტროებს, უფლება გეძლევათ თქვენ თვითონ გადაჭრათ ადგილზე... ამას გარდა, ნება გაქვთ, სადაც საჭიროდ დაინახავთ, ადგილობრივად მიიღოთ აუცილებლობით გამოწვეული ყველა საჭიროზომა და ამის შესახებ, ისევე როგორც მათ გამომწვევ მიზეზებზე, მომახსენოთ პირადად მე“.

მეფისნაცვალმა ნება დართო აღედგინათ ქართული თეატრი, გაეხსნათ საჯარო ბიბლიოთეკა, გამოეშვათ გაზეთი და ა. შ. ვორონცოვმა 1849 წელს მთავრობას მიაღებინა კანონი, რომელმაც მემამულეები გაათავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ამიერიდან თვითონ გლეხებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ და მემამულის საკუთრებას არ წარმოადგენდნენ. კავკასიის მეფისნაცვლის დიდი ამაგითა და ხელშეწყობით დაახლოებით 30 ათასი კაცი დამტკიცებულ იქნა თავადაზნაურულ წოდებაში, რასაც მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ტექსტის გაგრძელება შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

50-იანი წლების დასაწყისში თბილისის მახლობლად სოფელ დრეში უცხოელმა კარლ მაინცერმა მეფისნაცვალ ვორონცოვის დახმარებით მოაწყო მაუდის „ფაბრიკა“.

მეფისნაცვალ ვორონცოვის მითითებით საქართველოში შემოჰქონდათ ვაზის ევროპული ჯიშები.

ვორონცოვი ითვალისწინებდა, თუ რა განსაცდელში ჩავარდებოდა რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან აშკარა განხეთქილების შედეგად და 1854 წლის 18 იანვრის წერილში იმპერატორს სთხოვდა ყველა ღონე ეხმარა, რომ ინგლის-საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე არ მისულიყო საქმე. იგი ურჩევდა იმპერატორს კეთილგონიერებისათვის მოეხმო და ზომიერება გამოეჩინა, ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობის ფასად მშვიდობიანი

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

განწყობილება შეენარჩუნებინა ამ სახელმწიფოებთან, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ნეიტრალურნი დარჩენილიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის გამო, რომ შავ ზღვაზე მტრის ძლიერ ფლოტს რუსეთი ვერ გაუმკლავდებოდა, მას ხელი უნდა აეღო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველა სიმაგრეზე. აქ მდგარ გარნიზონებს, გელენჯიკიდან დაწყებული აფხაზეთის საზღვრებამდე, უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ და, ე. ი. წინასწარ განწირული იყვნენ. ყოველივე ამას დამღუპველი შედეგები უნდა მოჰყოლოდა კავკასიაში რუსეთის ძლიერების შენარჩუნებისათვის.

1854 წლის გაზაფხულზე ხანში შესული და სერიოზულად დაავადმყოფებული მეფისნაცვალი ვორონცოვი გენერალმა მურავიოვმა შეცვალა.

ტექსტის გაგრძელება შემდეგ გვერდზე

შემდგომში მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი კავკასიაში თავისი თვრამეტწლიანი საქმიანობის მანძილზე ფაქტობრივად აგრძელებდა მიხეილ ვორონცოვის მიერ შემუშავებულ კურსს და ერთგვარ ანგარიშს უწევდა მხარის ეროვნულ-კულტურულ და ეკონომიკურ თავისებურებებს.

ეს კურსი უარყოფილ და დაწუნებულ იქნა მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებასთან ერთად. მიხეილი პეტერბურგში გაიწვიეს. კავკასიაში მთავარმართებლის თანამდებობაზე დანიშნეს ცარიზმისადმი ერთგულებით სახელმოხვეჭილი გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები:

(1) **29.1.** კონკრეტულად რომელი იმპერატორის რესკრიპტზეა საუბარი წყაროში?

(1) **29.2.** დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულად რა სახის ადმინისტრაციული ცვლილება მოხდა კავკასიის მმართველობის სისტემაში?

(1) **29.3.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა გააკეთა მიხეილ ვორონცოვმა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.

(1) **29.4.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა გააკეთა მიხეილ ვორონცოვმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **29.5.** დოკუმენტის მიხედვით, რამ გამოიწვია ვორონცოვის გადადგომა დაკავებული თანამდებობიდან?

(1) **29.6.** თქვენი აზრით, რა განასხვავებდა ვორონცოვის პოლიტიკას მისი წინამორბედი ერმოლოვისა და პასკევიჩის პოლიტიკისგან?

(2) **29.7.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ კონკრეტულ სახელმწიფოებთან განხეთქილება აშფოთებდა ვორონცოვს და, თქვენი აზრით, რა კონკრეტული მიზეზი გამოიწვევდა ამ განხეთქილებას?

(2) **29.8.** თუ დოკუმენტში დასახელებული სახელმწიფოები ნეიტრალიტეტს არ დაიცავდნენ, რა საფრთხე ემუქრებოდა რუსეთს და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 29.9. დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ ორი ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ვორონცოვი ცდილობდა თავადაზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

(2) 29.10. თქვენი აზრით, რა იყო მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობის მთავარი მიზანი და შეძლო თუ არა მან მისი განხორციელება? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 29.11. თანამედროვე გადასახედიდან, შეაფასეთ მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკა და მოიტანეთ ორი არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 29.12. დაასახელეთ გვიანი შუა საუკუნეების ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის პოლიტიკა, თქვენი აზრით, გარკვეულ წილად, ჰგავდა ვორონცოვის პოლიტიკას და რაში გამოიხატებოდა ეს მსგავსება.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე